შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ფატი ჭაღალიძე

**2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში**

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია შედგება 7 წევრისგან. კომისია თავის მუშაობას წარმართავდა ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით, საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა შესაბამისად. 2023 წლის მიმდინარე პერიოდში ჩატარდა კომისიის 5 სხდომა. საერთო ჯამში განხილული იყო 7 საკითხი. რომელთაგან 5 გავიდა საკრებულოს სხდომაზე და დამტკიცდა მცირეოდენი ფორმალური შესწორებებით. მომზადებული იქნა ორი დასკვნა.

კომისიის მიერ ინიცირებული იქნა რამაზ სურმანიძის სახელობის ყოველწლიური ფულადი ჯილდოს გაცემა სახელმწიფო გრანტზე გასულ, ვეტერანთა შვილებზე და სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე.

კომისიის სხდომებზე მოვისმინეთ როგორც სამსახურის, ასევე განყოფილების და აიპების ხელმძღვანელთა ანგარიშები, სისტემატურად იხილებოდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. მნიშვნელოვანია განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებისადმი მიმართული და მოქმედი პროგრამები, რომელიც დარგების განვითარება - სრულყოფაზეა ორიენტირებული.

კომისია მერიის წარმომადგენლებისა და საკრებულოს შესაბამის კომისიებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი ბიუჯეტისა და ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამების განხილვაში, ჩართული იყო თითქმის ყველა პროექტის განხორციელების პროცესში. როგორც მხარდაჭერისა და კოორდინაციის ასევე მონიტორინგის კუთხით.

აქტიურად ვიყავი  და ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის კულტურული, სპორტული, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში. მაქვს ყოველდღიური კოორდინაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან და ვიღებ ინფორმაციას უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების თაობაზე.

როგორც კომისიის თავმჯდომარე აქტიურად ვიყავი ჩართული და მონაწილეობას ვღებულობდი მიმდინარე ღონისძიებებში:

21 მარტს გამართულ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის ღონისძიებაში.

2 აპრილს აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრაში.

11 მაისს გამართულ ,,ახალგაზრდობის რეგიონალური ცენტრის“ საინფორმაციო შეხვედრაში, სადაც ახალგაზრდები გაეცნენ დაგეგმილ და მიმდინარე ღონისძიებებს.

აქტიურად ვარ ჩართული ,,ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდიის“ გამცემ კომისიაში.

ვესწრებოდი სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს;

მუნიციპალური პირველობა სათხილამურო სპორტში;

საჩვენებელი სათხილამურო ტურნირს

მუნიციპალური პირველობა ფრენბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის

ვესწრებოდი სახალხო დღესასწაულს  ,,კუნტიჯვრობას''

ფესტივალ ,,ჯვარიმინდორობას“

როგორც პედაგოგი აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

სასკოლო კლუბების მუშაობაში, CineDoc  დოკუმენტური ფილმების ფესტივალის დაგეგმვაში, რომელშიც  მონაწილეობენ ქედის, ხელვაჩაურის, ქალაქ ბათუმის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლის მოსწავლეები. ფესტივალი ჩატარდება სექტემბრის ბოლოს.

აქტიურად ვარ ჩართული ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერება“ პროგრამის განხორციელებაში, რომელიც 2019 წლიდან ხორციელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში და 12 ბიზნეს იდეაა დაფინანსებული. წელს მიმდინარეობის პროცესშია, შემოსულია 15 განაცხადი, მეორე ეტაპზე გადასულია 10 პროექტი. მიმდინარეობს შეფასება შერჩევა.

აქტიურად ვმონაწილეობდი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის კომისსი წევრებთან ერთად ,,მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ შემუშავებაში. პროგრამა 2022 წელს ამოქმედდა, თავდაპირველად 4 მშობელი სარგებლობდა, ამჟამად 31 მშობელი სარგებლობს ყოველ თვეში ფინანსური დახმარებით.

ყოველწლიურად ვურთვები ,,16 დღიან საინფორმაციო კამპანიას ძალადობის წინააღმდეგ“, სხვადასხვა აქტივობებით და საინფორმაციო შეხვედრებით.

აქტიურად ვთანამშრომლობ დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლეთა წვლილი ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებაში და გაძლიერებაში სასიკეთოდ მნიშვნელოვანია.

ასევე ვთანამშრომლობ ადგილობრივ თვითმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან (ათეა), რომელთა მეშვეობით ვიზიარებთ საქართველოს მუნიციპალიტეტების საუკეთესო პრაქტიკებს.

საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი და დამტკიცებულია 2022-2024 წლის შუახევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა. რომლის ეტაპობრივად განხორციელებისთვის საბჭო აქტიურად მუშაობს. აგრეთვე განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საკითხებს, შევიმუშავეთ წინადადებები ადგილზე დისკრიმინაციის გამოსავლენად და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

მიმდინარე წელს 30 - მდე შეხვედრაში ვღებულობდი მონაწილეობას, სადაც დაახლოებით 400 მდე მოქალაქე მონაწილეობდა. მოქალაქეებთან შეხვედრებზე

გამოთქმული ძირითადი სკითხები იყო: მუნიციპალური ტრანსპორტის და ზოგადად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის არ არსებობა, ჯანდაცვის, კერძოდ კლინიკების სახელმწიფო ტარიფზე აღმატებული ფასები, მუნიციპალიტეტში საავადმყოფოს არ არსებობა. სახელმწიფო დაზღვევაში ცვლილების ამოქმედება, კერძოდ, პედაგოგები გაზრდილი ხელფასის გამო ხშირად ვეღარ სარგებლობენ პედაგოგის დაზღვევით. წყალმომარაგების პრობლემები, რომელიც აჭარისწყლის ალიანსის პროგრამის ფარგლებში ვიმედოვნებ მოგვარდება. მიწის სისტემური რეგისტრაციის დაყოვნება. შიდა გზების მოწესრიგება. მობილური და ინტერნეტ კავშირის არ არსებობა რამდენიმე სოფელში. სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობის არ ქონა. ბიუჯეტში გათვალისწინებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგვიანება.

მონაწილეობას ვღებულობ შუახევის მუნიციპალიტეტის 2024 -2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფში. დოკუმენტი ორიენტირებულია ადგილობრივი ეკონომიკურ განვითარებაზე, რომლის უმთავრესი მიზანია ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების გაძლიერება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

მადლობას მოგახსენოთ ყურადღებისთვის და აქვე მინდა დაგიდასტუროთ, რომ კომისია მომავალში კიდევ უფრო აქტიურად და გაძლიერებული შემართებით გავაგრძელებთ ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის ზრუნვას.

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე

31.08.2023 წელი